პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 19 დეკემბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 51 (210) ფასი 30 კაპ.

უმძიმესი გამოცდის თვეები

მალე ექვსი თვე შესრულდება, რაც საბჭოთა ხალხი, მისი მამაცი წითელი არმია თავგანწირულ, შეუპოვარ, სისხლისმღვრელ ომს აწარმოებს ჩვენს მიწა-წყალზე ვერაგულად შემოჭრილი ფაშისტი ბარბაროსების ურდოებთან.

ეს ექვსი თვე წარმოადგენდა ჩვენი ხალხის ისეთ მწვავე და მძიმე გამოცდას, როგორიც არ უნახავს არც ერთ ხალხს, როგორსაც არ მოსწრებია არც ერთი ხალხი კაცობრიობის მთელს ისტორიაში.

ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაიძრა ევროპერთელა სამხედრო მანქანა, ევროპის კონტინენტის მთელი სამხედრო საჯურველი, უახლესი მოწინავე ტექნიკა, დაიძრა მრავალმილიონიანი არმია ფაშისტური გერმანიისა, იტალიისა, რუმინეთისა, უნგრეთისა, ფინეთისა და გერმანული ფაშიზმის სხვა ვასალებისა, ყოველგვარი საერთაშორისო წესების უარმყოფელი, ქუშმარიტად ბარბაროსული არმია, რომელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია არა მარტო ის, თუ როგორ ეომოს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს, არამედ ისიც, თუ როგორ ხოცოს და ანადგუროს უიარაღო მშვიდობიანი მოსახლეობა, როგორ გაავლოს მუსრი ბავშვებსა და ქალებს, მოხუცებსა და დავრდომილებს.

ბნელი ინსტიქტებით აღსავსე ამ ველური სამხედრო ურდოების ორგანიზატორებს — კაიზერამია ჰიტლერს და მის სისხლიან დამქაშებს ეგონათ, რომ პირველივე შემაძრწუნებელი დარტყმით ოავზარს დასცემდნენ ჩვენს ქვეყანას, პირველ დღეებშივე მოსდრეკდნენ მის შეიარაღებულ ძალებს, მორალურად და ფიზიკურად გასტეხდნენ და წამოაჩოქებდნენ საბჭოთა ხალხს. მაგრამ ვერაგი მტერი, სისხლიანი აგრესორი მწარედ მოსტყუვდა საბჭოთა ხალხის შეიარაღებისა და სულიერი ძალის შეფასებაში.

გოლიათმა საბჭოთა ხალხმა გაუძლო მუხანათობასა და მზაკვრობასთან შეერთებულს მტრის სამხედრო ძლიერებას. ვაჟკაცურად გადაიტანა მრისხანე, წარმოუდგენლად მძაფრი განსაცდელი. საბჭოთა მოკალაქეს აღმოაჩნდა ისეთი მაღალი ადამიანური თვისებები, რომ მისი მოდრეკა შეუძლებელი შეიქნა მთლიანად ფოლადში ჩამჯდარ გამხეცებულ მტრისათვის.

ხალხი, რომელიც ჰიტლერელმა არამზადებმა თავხედური მედიდურობით და ქედმაღლობით დაბალ რასად და უორგანიზაციო მასად გამოაცხადეს, ოდნავადაც არ მოიხარა და დღეს იგი დგას უფრო ძლიერი, ექვსი თვის ომის ცეცხლში გამოწრთობილი და გაკაჟებული, რკინისებური დისციპლინით შეიარაღებული, უფრო დარაზმული და ორგანიზებული ახალი ბრძოლებისათვის, ახალი გადამწყვეტი შეტევისათვის, ერთ უზარმაზარ ბანაკად მობილიზებული და მზადმყოფი მტრის განადგურებისა და საბოლოო მოსპობისათვის.

ამ ხალხის ღვიძლი შვილია, ამ ხალხის ხორცი ხორცთაგანია წითელი არმია, რომელს სიმამაცემ და გმირობამ გააოცა მთელი მსოფლიო და გონება დააკარგვინა ფაშისტ მილიტარისტებს.

გებელსის უბადრუკმა და უსუსურმა პროპაგანდამ ოთხჯერ „მოსკო“ ქალაქზე საბჭოთა შეიარაღებული ძალები, მარამ ამ „მოსკობილმა“ არმიამ ნაცარუტად აქცია გერმანიის საუკეთესო დივიზიები როსტოვთან, ტიხვინთან, ელეცთან, კალინინთან და ჩვენი დედაქალაქის კარიბჭეებთან, გაჰფანტა რა ერთხელ და სამუდამოდ ტევტონელ ჯარისკაცის და გერმანული იარაღის „უძლეველობის“ ეფემერული მიth. მხოლოდ რეგვენსა და გონება-ჩლუნგ ადამიანს შეეძლო წარმოედგინა ასეთი არმიის ერთი დაკვრით მოსპობა, როგორიც არის საბჭოთა ხალხის არმია.

„წითელი არმიის თავისებურება, როგორც ხალხური არმიისა, სწორედ იმაშია, რომ იგი არ შეიძლება მოსპობილ იქნეს, ვიდრე ცოცხლობს და არსებობს თვით ხალხი. საბჭოთა ხალხი ასაზრდოებს არმიას თავისი აუარაცხელი ალი. თვით ეს ხალხი შეადგენს მის დაუშრეტელ კადრებს და რეზერვებს. საბჭოთა ხალხის წითელი არმია კი რა დღეა და ილეავა, პირიქით, იზრდება და ძლიერდება ომის მსვლელობაში“. რომ ეს ასეა, რომ ეს ურყევი ფქტია, ამაში გერმანიის ფაშიზმი, ფაშისტური არმია და მისი სარდლობა დაარწმუნა მათ თავზე რისხვად ავლენილმა წითელი ჯარის გამანადგურებელმა მრავალმა დარტყმამ. მაგრამ ეს, რაც ნოემბერ-დეკემბერში ჩანს მამაცმა ჯარმა გერმანელ ოკუპანტებს თავს დაატეხა, არის მხოლოდ დასაწყისი იმ ძლევამოსილი შეტევისა, რომელმაც მიწის პირისაგან უნდა აიაროს სისხლიანი ფაშიზმი ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

ის დიდი და მძიმე გამოცდა, რომელიც საბჭოთა ხალხმა ამ ექვსი თვის უმაგალითო ომით ჩააბარა, არის თავდები საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე საბოლოო გამარჯვებისა. ეს გამოცდა აასკეცებს საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფას, მის მტკიცე გადწყვეტილებას — ერთი წუთითაც არ შეანელოს თავისი ძალების დაძაბულობა ბრძოლის ველზე და შრომის ფრონტზე, ერთი წუთითაც არ დაივიწყოს ის საფრთხე და დიდი საშიშროება, რომელიც ჯერ ემუქრება ჩვენს სამშობლოს. საბჭოთა ხალხი ვერ მოისვენებს მანამდე, სანამ ერთი ოკუპანტი მაინც დაძრწის მის მიწა-წყალზე. იგი არაფერი მსხვერპლის წინაშე არ დაიხევს მისათვის, რომ ჰიტლერის ჯარების უკვე დაწყებული დამარცხება მოსკოვთან გადაიქცეს გერმანული ყაჩაღური იმპერიალიზმის ბანდიტური არმიის სრულ განადგურებად.

გერმანია და ხელოვნება

ემილ ვერჰარნი*)

ხალხთა ცხოვრებისათვის სრულიად არ არის აუცილებელი, რომ ერთი ხალხი ცხოვრობდეს მხოლოდ თავის თავისათვის, ქედმაღლურად და ძალადობით.

გერმანიას სურს, რომ მისმა ცხოვრებამ შთანთქას დანარჩენთა ცხოვრება. იგი თავის თავს აცხადებს უმაღლეს ეროვნებად, რომელიც თავის თავაშვებულობისათვის პასუხს არ აგებს არავის წინაშე.

მას თავისი თავი იმისთვის მიაჩნია გაჩენილად, რომ ფიქრობდეს, გრძნობდეს და მოქმედებდეს ყველას მაგივრად.

იგი უფლებას აცხადებს იმის განსაზღვრაზე, თუ რა არის დასაშვები და რა არა. ამგვარად, იგი ამ ქვეყნად ითვისებს არა მარტო ბედისწერის როლს, არამედ ღმერთისასაც.

მან ოღად დაიჯერა, რომ მატერიალური გამარჯვება მორალურ გამარჯვებად იქცევა და რომ ბატონობით შეიძლება სიყვარულის მოხვეჭა.

თავის დისციპლინას ან, უკეთ, თავის ტირანიას იგი გარდუვალად სთვლის მომავლის ყოველგვარი ორგანიზაციისათვის. იგი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ უდიდეს დაბრკოლებას მისი ჰეგემონიისთვის წარმოადგენს ის საყოველთაო იერარქიული მორჩილება, რომელსაც ეს დისციპლინა და ტირანია შეიცავენ. ამგვარად, გაბატონების ის სიშფუალება, რომელსაც გერმანია სთვლის ყველაზე აუცილებლად, ამ შემთხვევაში ყველაზე გამოუსადეგარი ხდება, და ის, რაშიც გერმანია თავის უდიდეს ძალას ხედავს, მის უდიდეს სისუსტედ იქცევა.

თავისი ბატონობის დასამყარებლად და სხვებისთვის თავზე მოსახვევად, გერმანია ზღუდავს სხვა ეროვნებათა თვითარსებობას, რამდენადაც მას საკუთარი ძლიერება ამის ნებას აძლევს.

იგი წინ აღუდგება ერთა სხვადასხვაობისა და კონტრასტულობის გაფურჩქვნას. იგი ომს გამოუცხადებს ადამიანთა ჯგუფების ძირითად თავისებურებებს, მათ მიერ პროგრესის, წესრიგისა და ბედნიერების სხვადასხვაგვარ გაგებას.

ამის შედეგად, იქნებ თავისდა უნებურადაც, იგი ომს გამოუცხადებს მშვენიერების თავისებურ და პიროვნულ გაგებასაც და ამ შემთხვევაში გახა ხელოვნება მისი მხსვერპლი არ გახდება?

იგი შეებრძოლება და უარჰყოფს ყველაფერს, რაც მის მიერ არ იქნება შექმნილი, რადგან იგი სულელური ამპარტავნობით არის დაჯერებული, რომ მისი მოქმედება სამართლიანია და აუცილებელი.

იგი წარსულსაც მისწვდება.

არავითარ ძეგლს, სულერთია, ქვის იქნება იგი თუ ბრინჯაოსი, ანგარიშს არ გაუწევს, თუ კი იგი მის უაღრესად ვითომდა სრულქმნილ ესთეტიკას უპირისპირდება.

მშვენიერებით დღისა და ღამის შესადარი რეიმსი და მისი კათედრალი უკვე მიწასთანაა გასწორებული.

ზღაპრული კიდობნის მსგავსად გადახურული მოედნებიანი იპრი უკვე ნანგრევებადაა ქცეული.

უკვე მოსპობილია წმ. პეტრეს ტაძარი, ლუვენის ბიბლიოთეკა და ტერმონდის მონასტერი.

იმათ, ვინც ამით აღშფოთდება, გერმანია ასე უპასუხებს: „მე სიძველის ამ ძეგლთა ადგილზე უკეთეს ძეგლებს ავმართავ ჩემი გემოვნების მიხედვით“.

იგი თავის თავს ყოვლად უცოდველად სთვლის და ამიტომ თავისი დიდების გამოქანდაკებაც მხოლოდ საკუთარი ხელით სურს.

რომელიმე ხალხის ან ცალკეული ადამიანის მაღალ ნიჭს, რასაც იგი თავის მოდგმას ან პიროვნულ გენიას უნდა უმადლოდეს, გამოვლინება შეეძლება მხოლოდ ტევტონური წესით და კანონით. ირონია კონტროლ ქვეშ იქნება დაყენებული, გონებამოჯაჭვული, ძალდაუტანებელი და თავისუფალი შემოქმედება — მოსპობილი.

საპარადო ნაბიჯის ბატისებური ტყაპა-ტყუპის რიტმი გაბატონდება ყველა რიტმზე: ამ რიტმის გამოძახილი დამკვიდრდება პოეზიაშიც.

პირველქმნილი, თავისუფალი ხელოვნება გაქრება. იარსებებს ხმლის პირივით მაგარი, ბასრი და პრიალა ხელოვნება.

ამ საშინელი ხელოვნებით ქვეყანა შეძრწუნდება.

ეს ხელოვნება ჩვენთვის წარმოსაადგენადაც კი ძნელია.

ხელოვნება ვითარდებოდა დღემდის საუკუნეების განმავლობაში. ამ ხელოვნებამ თავისი მთლიანობა მრავალფეროვნებაში ნახა.

იგი რჩეულ ქვეყნებში განიცდიდა აყვავებას ხან ერთსა და იმავე დროს, ხანაც სხვადასხვა დროს.

იტალიას, ფლანდრიას და საფრანგეთს ამ მხრივ უპირატესობა ჰქონდათ.

მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ მოისურვა თავისი დროებითი უპირატესობისათვის უხეშად დაემორჩილებინა სხვები. პირიქით, იყო მხოლოდ ურთიერთგავლენა, ყოველად უწყინარი და ნაყოფიერი.

იმ დროს, როცა XV და XVI საუკუნეების იტალია საყოველთაო აღტაცებას იწვევდა თავისი ფრა ანჟელიკოთი, ვეროროკიოთი, ბოტიჩელით და მაზაჩიოთი, ფლანდრიას თავის მხრივ ჰყავდა ისეთი ბრწყინვალე მხატვრები, როგორიც იყვნენ ვან-ეიკი, ვან დერ გოსი, მემლინგი, ჟიუსტე განი, ჟერარ დავიდი და ვან დერ ვეიდენი.

უფრო გვიან კარაშის, რენის, დომინიკენის, ალბანის, ბაროშის, კარავაშის და ბერნენის შესადარად მთელ ევროპას სხივებს ჰფენდნენ: რუბენსი, ვან დეიკი, ზეგერსი, კორნეილ დე ფოსი, კრაიერი, იორდანსი, ტენირსი (ფლანდრია); ველასკეზი, ჰერერა, რიბეირა, ზურბარანი, მურილიო (ესპანეთი)); რემბრანდტი, ვერმერი, რუისდელი, ჰობემა, ფაბრიციუსი, სტინი, ჰალსი, პიეტერ დე ჰოგი (ჰოლანდია); პუსენი, კლოდ ლორენი, დიუგე, ლესერი და კალლო (საფრანგეთი).

ხელოვნება იყო რომანტიული ან რეალისტური, ასკეტური ან გრძნობიერების გამომხატველი, იმ ქვეყნის ხასიათის მიხედვით, სადაც იგი ვითარდებოდა. იგი იძლეოდა ყველა ფერის სხვადასხვა გვარ ყვავილს ერთი მთლიანი და ჰარმონიული გირლანდისათვის, რომელიც რთავდა მე-15 და მე-17 საუკუნეების კედლებს.

თანამედროვე ხალხებს არასოდეს არა ჰქონიათ მსგავსი სწრაფვა მშვენიერებისაკენ: ანტიურობა თითქოს მიღწეული იყო, თუ უკან მოტოვებული არა.

მაგრამ გერმანიას რომ ევროპა დაემარცხებინა, თუნდაც ბრწყინვალე გენიოსთა მთელი პლეადებიც არსებულიყვნენ, ხელოვნებაში მაინც არ იქნებოდა არავითარი გასხივოსნება.

გერმანია დაუინებით და სისტემატურად მოინდომებდა იმ ნაზი ძაფების გაწყვეტას, რომლებიც ხელოვანს აკავშირებენ თავის სასიცოცხლო, თავისუფალ წრესთან, თავის ამაყ და ღონიერ მოდგმასთან, თავის ძლიერების ღრმა და ფუძემალ ცენტრთან.

მისი მისწრაფება ყველაფრის მართვისაკენ, ყველაზე ბატონობისაკენ და ყველაფრის გასამხედროებისაკენ მოსვენებას არ მისცემდა შემოქმედთ.

შემოქმედს მიუნხენისა და ბერლინის იდეალების მიხედვით მოუხდებოდა მუშაობა.

და თუ ის გერმანიის ტირანიის რეცეპტის მიხედვით არ იმუშავებდა, მაშინ მას დაუინებით, შეუბრალებელი აქსიომებით დაუწყებდნენ იმის მტკიცებას, რომ მისი შემოქმედება უმსგავსია და ულამაზო.

ნელნელა, ათეული წლობით ისახებოდა და ვითარდებოდა ევროპის ხელოვნება. ისინი, ვინც მას ემსახურებოდნენ, ემსახურებოდნენ ძალდაუტანებლად, ზოგჯერ ანგარიშ მიუცემლადაც.

ხელოვანნი თავიანთ ბუნებას თანდათან ანთავისუფლებდნენ ყოველივე პირადფლისა და ყოველგვარი შეზღუდულობისაგან. მათი ფიქრებისა და გრძნობების ჰუმანიზაცია ორიგინალობის ნიშნის დაუკარგავად ხდებოდა.

ყველაფერი ასე მიდიოდა, შემომქმედნი რჩებოდნენ თავიანთი ხალხების ერთგულნი, მიდოდნენ წინ და გზას არავინ უღობავდათ.

ევროპული ხელოვნების ამ პირველი ფრთის გაშლას შეებრძოლა გერმანია.

ეს ხელოვნება თავისუფლად მიიწევდა სიმაღლისკენ. გერმანიას სურს დაარჩოქოს იგი და გადაღუნოს. იგი ძალას ხმარობს მის წინააღმდეგ და ამით ჰკლავს მას.

ტევტონთა დამარცხების შემდეგ ყველა ადამიანს უფრო მეტად შეუყვარდება დედამიწის ის კუთხე, რომელიც კინაღამ დაჰკარგა მან.

აღარ განმეორდება მწერლობისა და მხატვრობის ტერიტორიული გაგება და წინანდებურად ყველა ქვეყანაში აღორძინდება სხვადასხვა სკოლა.

1914 წ. გერმანიამ საშინელი უბედურება დაატეხა ვერჰარნის სამშობლოს. ვერჰარნი ვერ დარჩა ევროპის ზოგიერთი ესტეტივით ამ დიდი ტრაგედიის გულგრილ მაყურებლად. იგი გვერდში ამოუდგა თავის მამაც ხალხს, მისი უდიდესი გმირობით აღფრთოვანებული, მოძალადე მტრისადმი უწმინდესი სიძულვილით გამსჭვალული. მან დაგვიტოვა გერმანიის არმიის მხეცობისა და უკულტურობის რამდენიმე შესანიშნავი მხატვრული დოკუმენტი.

მისი წიგნები: „ომის წითელი ფრთები“ და „გასისხლიანებული ბელგია“ (დაწერილია (1915 წ.) დღესაც კარგად ახასიათებენ გერმანიის იმპერიალიზმს.

ყველგან ნვრევა და ცეცხლი გამეფდა,
ფუტკრის აშლილ სკას ჰგავდა ქვეყანა,
დასახიჩრებულ ბავშვთა გვამებთან
ზოგჯერ მკვლელების ლეშიც ეყარა:
ბავშვების სისხლში იწვა მურდალი,
სავსე ნაძარცვით და ნაჭურდალით“.

კაიზერის არმიაზე დაწერილი ვერჰარნის ეს ლექსი ჰიტლერის ურდოების სიმხეცის გამომხატველია. ეს წერილი, რომელიც ამ ოღებულია წიგნიდან „გასისხლიანებული ბელგია“, მცირე შემოკლებით იბეჭდება.



ლენინგრადი სამამულო ომის დღეებში. ფრუნზეს სახელობის რაიონის № მუშათა რაზმის მებრძოლები ა. ე. რატნიკოვი (მარცხნით) და ს. ა. მენშიკოვი რევოლუციური წესრიგის საგუშაგოზე.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ანგიუშისეული ღვეროვანი ლაღამოები დასავლეთ საქართველოში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ქუთაისს, წყალტუბოსა და ბაღდადს დიადი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოების გასამართავად მიავლინა მწერალთა ბრიგადა, ორდენოსანი მწერლების — ლეო ქიაჩელის, ალიო მაშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, დემნა შენგელაიას, ირაკლი აბაშიძისა და კრიტიკოს ბესო ჟღენტის შემადგენლობით.

11_16 დეკემბრამდე ბრიგადამ ქუთაისში, წყალტუბოსა და ბაღდადში მოაწყო 12 ლიტერატურული გამოსვლა. ქართველ მწერლებთან ერთად ამ გამოსვლებში მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინელი მწერალი კონდრატ სტარჩიკი და ახალგაზრდა ბელორუსი პოეტი მიხას კოლაჩინსკი.

მოხსენებებით თემებზე „საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომი“ და „ფაშიზმი კულტურის უბოროტესი მტერია“ გამოდიოდა ბესო ჟღენტი. ლეო ქიაჩელი ამ საღამოებზე კითხულობდა თავის ნოველას „მამა და შვილი“, რომელიც დამსწრეთა შორის ცხოველ ინტერესს იწვევდა. პოეტები ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და ირაკლი აბაშიძე კითხულობდნენ თავიანთ ახალ ლექსებს დიდი სამამულო ომის თემებზე. მათს გამოსვლებს დამსწრენი გულმხურვალედ ეგებებოდნენ. დემნა შენგელაია კითხულობდა თავის ახალ ნოველებს ჩვენი გმირული წითელი არმიის ცხოვრებიდან, ხოლო უკრაინელი მწერალი სტარჩიკი და ბელორუსი პოეტი კოლაჩინსკი გარდა თავიანთ ნაწარმოებებისა კითხულობდნენ ქართველ პოეტთა ლექსებს რუსულ ენაზე.

დიდის წარმატებით ჩატარდა მწერალთა ბრიგადის შეხვედრა ქუთაისის პარტიულ-კომკავშირულ აქტივთან და ქალაქის ინტელიგენციასთან. აქ გარდა ზემოხსენებულ მწერლებისა მონაწილეობა მიიღეს დომენტი თომაშვილმა, ბ. გიასელმა და დ. კვირკველიამ.

დიდძალი აუდიტორია მიიზიდა აგრეთვე მწერალთა ბრიგადის მიერ ჩატარებულმა საღამოებმა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბსა და ბაღდადის რაიონის სოცკულტურის სახლში.

მწერალთა ამ ბრიგადის მოგზაურობამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო საბჭოთა ლიტერატურის ლრმა ორგანიული კავშირი ჩვენი ხალხის უწმინდეს მისწრაფებასთან დიადი სამამულო ომის ეხლანდელ მრისხანე დღეებში.

ჯარისკაცის წერილები და ფაშისტი ლიტერატორები

ფაშისტური ჟურნალი „დი ლიტერატურ“, რომელიც ჩვეულებრივ გაურბის აქტუალურ პრობლემებს და ამჯობინებს „უნიფიცირებულ“ ლაყბობას ზოგად თემებზე, იძულებული გახდა შეხებოდა ისეთ ჟანრს, როგორიც არის ჯარისკაცების წერილები ფრონტიდან. 1941 წ. ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ჟურნალი ბეჭდავს მომქმედ არმიაში მყოფ ერთ-ერთი თავისი მუდმივი თანამშრომლის სტატიას ამ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ წერილი სავსეა წმინდა ფაშისტური ბაქიობითა და ტრაბახით, მასში მაინც გამოსჭვივის უდიდესი დაღლილობა, იმედგაცრუება და სასოწარკვეთილება, რომლებსაც ფრონტზე მყოფი გერმანელი ჯარისკაცი შეუპყრია. „უნდა ვაღიაროთ, — სწერს ამ სტატიის ავტორი,—რომ სამშობლოში გაგზავნილ წერილებში ჯარისკაცს ეძლევა ერთადერთი შესაძლებლობა თავს ანგარიში მისცეს იმაში, თუ რა გადახდა და განიცადა, რადგან ამბები ფრონტზე ისეთი სისწრაფით ვითარდება რომ ჯარისკაცს საშუალება არა აქვს შეგნებული დამოკიდებულება იქონიოს მოვლენებთან. წერილებში ჯარისკაცები ცდილობენ წარმოიდგინონ ომის პერსპექტივა, გაითვალისწინონ თავიანთი ბედიღბალი. ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები მრავალი ათეული ათასი ჯარისკაცისათვის გადაიქცა საშინელი სულიერი დაძაბულობისაგან თავდახწევის ერთად-ერთ საშუალებად. ამ წერილებში ისინი ლამობენ გაერკვენ უმძიმესი განცდების და ზეადამიანური სულიერი ტკივილების ქაოსშიო“. ამ სტატიის აშკარა პესიმისტური ტონით შეშფოთებულმა რედაქციამ საჭიროდ დაინახა სტატიისათვის გაეკეთებია სტანდარტული ოპტიმისტური შენიშვნა, მაგრამ წერილის საერთო უიმედო ტონს ეს შენიშვნა ვერ აქარწყლებს. აშკარაა, ფრონტიდან გაგზავნილი ჯარისკაცთა წერილები მეტად შემაძრწუნებელ სისტემატურ ბოვლენად გადაქცეულა, რაკი ფაშისტური ლიტერატურული ჟურნალიც კი იძულებული ხდება მასზე ხმა ამოიღოს.

ჯალათი—ფაშისტური ლიტერატურის მთავარი გმირია

მიმდინარე წელს გერმანელმა ფაშისტმა მწერალმა ვინმე ე. შაპერმა გამოაქვეყანა რომანი „მხრჩობელი“. ფაშისტური კრიტიკა ამ ნაწარმოებს აღტაცებით შეხვდა, რაც ერთხელ კიდევ ამჟღავნებს მთელი ფაშისტური ლიტერატურის იდეურ-მორალურ უბადრუკობას. რომანი ასახავს 1905 წლის მოძრაობას მეფის რუსეთის ყოფილ პროვინციებში—კურლანდიაში და ლიფლანდიის გუბერნიებში. წიგნის მთავარი გმირია ოსტზეელი გრაფი ოველაკერი—დამსჯელი ექსპედიციის უფროსი, რომელმაც ლატველი მუშებისა და გლეხების ზღვა სისხლი დაღვარა და უკვდავყო თავი, როგორც ჯალათმა. ფაშისტური კრიტიკა ამ რომანის ორი მხარით დაინტერესდა: პირველყოვლისა იმით, თუ როგორ არის ასახული ბალტიის მხარეში „ისტორიულად დამკვიდრებული“ გერმანელი თავად-აზნაურების ყოფა-ცხოვრება და მისი დამახასიათებელი „ნამდვილი გერმანული სულისკვეთება“ და მეორე, თუ როგორ აქვს ავტორს გადმოცემული რომანის მთავარი გმირის განცდები.

ე. შაპერის რომანის ერთ-ერთი კრიტიკოსი განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოჰყოფს რომანის იმ ეპიზოდს, სადაც სადისტური ინსტიქტებით შეპყრობილი გმირი მიდის ორი ჩამოხრჩობილი მუშის მშობლების ოჯახში თითქოს იმ მიზნით, რომ მათ „თანაგრძნობა“ გამოუცხადოს. კრიტიკოსს ეს საფუძველს აძლევს ჩასთვალოს შაპერის ნაწარმოები „კარგი ფსიხოლოგიური რომანის ნიმუშად“. რაც შეეხება თვით გრაფს ჩამომხრჩობელს, კრიტიკოსი მას შემდეგ სტრიქონებს უძღვნის: „ოველაკერი გვეელინება, როგორც ბალტიისპირა გერმანელი თავადაზნაურობის სახე, როგორც ჯარისკაცის დისციპლინის, ერთგულების და გამძლეობის სიმბოლო“. როგორც ეს უბადრუკი კრიტიკოსი აღიარებს, ჯალათის სახეს მართლაც უჭირავს წამყვანი ადგილი ფაშისტური გერმანიის ლიტერატურულ ტიპებს შორის. სხვა რაღა დარჩენია ჰიტლერისა და გებელსის წინაშე მუცლით მხოხავ ლიტერატურას, თუ არა ჯალათებისა და მხრჩობელების ხოტბა-დიდება?

გმირი ქალაქი

ვასო გოლგაძე

მთელს მსოფლიოში დღესავით ბრწყინავს,
როგორც მზის შუქი ჩაუქრობელი,
მისი ძახილი მეხივით გრგვინავს —
ბედნიერების მახარობელი.

ჩვენი ფიქრები დაუგდგრომელი,
მისი სხივებით არის განცდილი,
ჩვენი სიცოცხლის სუნთქვა ყოველი
მისი გულისთქმის არის ნაწილი.

შთაგონებული მას უყღეროდა
ლერმონტოვის და პუშკინის ქნარი,
ერთ დროს ნადგლიან ცას გასცქეროდა
აქ ჩვენი საბაც დაუვიწყარი.

აქ მიცკევიჩი—სლავთა ბულბული
გულით ნატრობდა იმ ნეტარ დროსა,
როს გადიწმენდდა მზე მოღრუბლული
და ხალხთა ძმობის გაშლიდა დროშას.

მას მონგოლების ახსოვს ბრბოები
და მოედნები ნაცრად ქცეული,
ნაპოლეონის შავ ურდოების
ხმლები ვადაში გადამტვრეული.

ახსოვს მის ქუჩებს ძლიერი ბრძოლა,
სისხლით ნაღები დროშის კალთები,
ცხრაასჩვიდმეტის გრიგალის ქროლა
და ცხრაასხუთის ბარიკადები.

როცა ნისლებით გამურულ ცაზე
ტალღებს გაშლიდა ღამის ბინდბუნდი—
გმირ წინაპრების მოწოდებაზე
ღრუბლებს კვეთავდა არწივთა გუნდი.

ანადგურებდა მტერს ბრძოლის ველად
ყველგან, ყოველთვის გულუშიშარი,
სამშობლო მიწის მტკიცე დამცველად
სადარაჯოზე გუშაგად მდგარი.

ახლა, როდესაც მუხანათურად,
დუშმანმა ჩვენზე ხელი აღმართა,
ხალხის შვილები მტერს ვაყაკაცურად
ანადგურებენ მოსკოვის კართან.

ტყვიების სეტყვა ცვივა ტყეებზე,
ისმის ქუხილი განუწყვეტელი
და მოსკოვისკენ მიმავალ გზებზე
აღმართულია ცეცხლის კედელი.

ყოველ მოედანს, მოსახვევს თითოს
დიდი სტალინის იფარავს კალთა,
დღეს სარდალია ბელადი თითონ—
სასოება და იმედი ხალხთა.

და რომ წყდიადის გაქრეს ბურუსი,
რომ არ ქელავდეს მტერი ჩვენს ალაგს,
უკრაინელი, ქართველი, რუსი
მკერდით იცავენ საყვარელ ქალაქს.

გმირო ქალაქო, მსოფლიოს თვალი
შენ შემოგყურებს დღეს გაოცებით,
თოფის, ზარბაზნის დაუნთე ალი,
დაგრიალე ნალმსატყორცნები.

დაუზოგავად დასცხე, დაჰკარი,
გააცამტვერე, მოსპე მკვლელები,
ვინაც გადასწვა ჩვენი სახლკარი
და სისხლით მორწყო ჩვენი ველები.

ღღითა და ღამით, ღღითა და ღამით
ბრძოლის ქარცეცხლი ნუდარ დასცხრება,
თავგანწირული შეტევის წამი
მოგვიახლოვებს მტრის დამარცხებას.

ჩვენს თოვლითნოსილ მისადგომებში
მტერს გაუთხარე საშარე ბნელი,
დეე, გფარავდეს შენ ამ ბრძოლებში
ლენინის დროშა დაუძლეველი.

დასავლეთის ფრონტი. მოსკოვის მისადგომები. საბჭოთა მოტოციკლისტები მიეშურებიან ბრძოლის ხაზზე ოპერაციების გაწარმოებლად. (საკლესის ფოტოქრონიკა).

მეგობრები

დემნა შენგელაია

უფროსი პოლიტხელ.

ისინი სამნი იყვნენ: ტანკის მეთაური-ლეიტენანტი თაბაგარი, მსროლელი-რადისტი — სერჟანტი კოსტინი და მექანიკოსი-წამყვანი—გერბა.

სამრავ საბჭოთის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ მოსულნი. ყოველმა მათგანმა თან თავისი ჩვევა, თავისი შნო და საქციელი მოიტანა. ეს თვისებანი თითქოს ხელს უშლიდნენ მათ დაახლოვებას, მაგრამ მალე ისე შეთავსდნენ, რომ ყოველივე ეს, პირიქით, ალაზათებდა, შნოს აძლევდა მათ ცხოვრებას.

მუდამ ერთად იყვნენ. ის ზაფხულიც ბანაკში ერთად გაატარეს. ტანკს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, ტყვიამფრქვევს, ქვემეხს სათუთად უვლიდნენ, თვითონაც მუდამ კოხტად ეცვათ, ახალგაზრდობით თავი დიდად მოსწონდათ.

ბანაკად ტყეში იდგნენ.

ღამით ერთ კარავში იწვნენ და ნაძვნარის სურნელოვან შრიალს უბრად უსმენდნენ. თაბაგარს ჭიათურა აგონდებოდა, კოსტინს მშობლიური ქალაქი ტულა, ხოლო გერბას უკრაინის თვალუწვდენი თავთუხიანი ხოდაბუნები.

საღამობით გერბა გარმონს უკრავდა, თაბაგარი ლაღად ცეკვავდა და, ლეკური რომ გახურდებოდა, ერთბაშად გერბას ზარდამცემი ჭყივილიც გაისმოდა:

— განი, ბიჭებო, განი! ტანკი მოდის, მანქანა ჩვენი, ცეცხლის მფრქვეველი.

და თითქოს ტანკი მართლა მოდიოდა.

გერბა ისეთი ხელოვნებით გადმოსცემდა თავის გარმონით ფოლადის მუხლუხოების ხრეშიალსა და მოტორის გუგუნს, რომ მსმენელნი აღტაცებას მოდიოდნენ.

ტყე შრიალებდა.

გაზაფხულის სისხამ დილებს ჩიტები ხალისიანი ჟრიამულით ეგებებოდნენ. მათთან ერთად დგებოდნენ ბრძოლელებიც.

...ომი დაიწყო.

ტანკისტებს სოფელ ნარიდან ფაშისტები უნდა „გამოეხვეტათ“.

ღამით საარტილერიო მზადებაც დაიწყო.

ყუმბარები, ნალმები მტრის სანგრებში ზუსტად ცვივოდნენ; ავტომატები, ტყვიამფრქვევები შემზარავად ხარხარებდნენ,—კიდურიდან კიდურამდე ცა დუღდა, მიწა დუღდა. საღამოს მაღლა პროპელერები ღმუოდნენ და ძირს ჩამოყრილ ყუმბარათა აფეთქებანი ცეცხლის ჯაგებივით იტაცებოდნენ.

გათენებისას ჩვენი ქვეითების წინ აფარებული ტანკებიც ღრჭენით, სროლით ფრონტისაკენ გაემართნენ.

— ვაშა! ვაშა!

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!—აირია ერთმანეთში ხალხისა, სასროლ იარაღისა და მანქანების ხმაური.

— გასთელე! გასრისე! — ჭყიოდა ბრძოლის ელვაში შესული გერბა, — მიდი, კოსტინ! მიდი! შენ სრიხე და მე აქედან ჩემს საბრძოლო გარმონს ავაგუგუნებ!

და გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ მისი „გარმონი“ მართლაც გაუცდენლად გუგუნებდა.

მტრის დაუზოგავი მუსვრით მიჰქროდნენ ისინი. ავარდნილ ნამლსა და კორიანტელში ტანკი თითქოს არა სჩანდა და წინ ისეთი გამეტებით გაქანდნენ, რომ არც შეუტყვიათ, როგორ დაარღვიეს მტრის განლაგება, როგორ მოსწყდნენ თავისიანებს.

ისინი მტრის ზურგში აღმოჩნდნენ.

ერთბაშად ზარდამცემი გრიალი მოისმა. მტრის ყუმბარა კოშკზე დაეცა და გერბას „გარმონიც“ დაუმუმდა.

კოსტინმა ტანკი მაშინვე ცეცხლის რკალიდან გაიყვანა და ფლატეს აფარებით ბუჩქნარში დამალა.

ორი მეგობარი მომაკვდავ ძმობილს დარდით დასცქეროდა და უხმოდ სტიროდა.

თაბაგარმა მუხლთ მოიყარა, ამხანაგს ხელით თვალებზე სისხლი სათუთად მოსწმინდა და წყნარად, ცილაჯოდ სთქვა:

— მოკვდა!

საკინძე მოიღელა და ძმობილის სისხლში დასვრილი ხელებით მკერდი ზარდამცემი ღრჭენით მოისრისა.

— არ შევარჩენ, არავის არ შევარჩენ შენ სისხლს!—ღმუოდა, ბოლმა აღრჩობდა და თვალები მაინც მშრალი ჰქონდა.

მცირე ბარებით სამარე იქვე, თეთრი არყის ძირას, ხელდახელ გათხრეს და კარვის ტილოში გახვეული გერბა მიწას მიაბარეს. მეგობრები მას უკანასკნელ მიწას აყრიდნენ, როცა ხევში ჩასაფრებულმა მტერმა ნალმები დააყარა.

დაყოვნების დრო აღარ იყო.

— ხეობისაკენ!—გაისმა თაბაგარის ბრძანება და კოსტინმა მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

ტანკის თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო და ელვისებური, რომ ფაშისტები შედრკნენ, თავგზა-აბნეულნი აქეთ იქით გაიფანტნენ.

ტანკისტებმა თვალი მათ ოფიცერს მოჰკრეს.

შიშით კვალ არეული იგი ხან ბუჩქს ეფარებოდა, ხან ავტომატით ტყვიას უმიზნოდ თესავდა და ხან ორივე ხელს მაღლა სწევდა, ზარდამცემული უილაჯოდ ასავსავებდა. მერე ქალიეთ დაიწივლა და ისევ გაქცა.

— მიდი, კოსტინ! მიდი ჩვენი გერბას სანაზღაუროდ! — ყვიროდა თაბაგარი.

ტანკის წამყვანმა მანქანა გააქანა.

ოფიცერმა წინ წაირბინა, წაიფორხილა, და ტანკის მუხლუხოებმა ზედ ხრეშიალით გადაიარეს.

ირანული პოეზიის მთარგმნელი და პოპულიზატორი

გასულ წელს გარდაიცვალა ადამიანი, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი თავმდაბლობის გამო სიცოცხლეში იძულებულ დაფასებული არ იყო, რამდენადაც ეს შეეფერებოდა მის ნაყოფიერ მუშაობას ქართული კულტურის ასპარეზზე. ამბაკო ჭელიძე გლეხის ოჯახში დაიბადა, რაჭაში, სოფელ ბაჯში 1878 წელს. მას ჩემთვის უამბია, რომ მამაჩემი ისეთი ღარიბი იყო, რომ ჩემი ფეხსაცმელის ყიდვა უჭირდა. მაგრამ ეშინოდა წერაკითხვის უცოდინარი არ დავრჩენილიყავი და მეზობელ სოფლის, თუ არ ვცდები, ცახის პირველდაწყებითს სკოლაში მიმბარა სასწავლადო. ძალიან პატარა ვიყავი და ზამთარში რამდენიმე კილომეტრის გავლა მიჭირდა. ამიტომ მამაჩემი მხარზე შემისვამდა და ისე მიმიყვანდა სკოლაშიო. ერთკლასიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ მჭედლობას ვსწავლობდი ნათლიაჩემთან. როცა თოთხმეტი წლისა გავხდი, გადავწყვიტე თბილისში წავსულიყავი ბედის საცდელადო.

თბილისში ამბაკო ჭელიძეს თავდაპირველად მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. მას არ ასცდა პირისფარეშის როლი, ესოდენ შეფერაცმყოფელი თავმოყვარე ახალგაზრდა, ქართველი გლეხისათვის. მაგრამ ჩქარა თავისი ნამდვილი ადამიანური გზა იპოვა და ერთხანს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ მუშაობდა ექსპედიტორად, ხოლო შემდეგ ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებულ კოოპერატიულ ამხანაგობა „შუამავალში“ ნოანგარიშედ.

ამბაკო ჭელიძე პირადად 1905 თუ 1906 წელს გავიცანი. ის არ იყო პროფესიონალი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ მისი თანაგრძნობა ბოლშევიკების მხარეზე იყო და ის პარტიულ დავალებებს ასრულებდა. მას მეგობრები ჰყავდა ბოლშევიკებს შორის, განსაკუთრებით, მას მეგობრობდა და დახმარებას უწევდა მიხა ბოკორიშვილი, რომელმაც ის თავის ადგილას დააყენა ბუჰხალტრად, როდესაც თვითონ კონსპირატიულ რევოლუციურ მუშაობაზე გადავიდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამბაკო ჭელიძე, მთავრობის დავალებით, ირანში წავიდა, საბჭოთა საელჩო წარმომადგენლობაში სამუშაოდ. ირანში ყოფნა მან ნაყოფიერად გამოიყენა. მან შეისწავლა ირანული ენა და ირანული კლასიკური ლიტერატურა, ხოლო 1927 წელს ფერეიდანში გაიმგზავრა იქ გადასახლებული ქართველობის გასაცნობად. მან დასტოვა თავისი მოგზაურობის აღწერა, რომელიც ლადო აღნიაშვილის ცნობილი მოგზაურობის აღწერის გვერდით საუკეთესო მასალას იძლევა ჩვენი შორეული თანამოძმეების თანამედროვე მდგომარეობის გასაცნობად.

ამბაკო ჭელიძემ წერა 1905 წელს დაიწყო. მისი ორიგინალური მოთხრობები და წერილები დაბეჭდილია „ივერიასა“, „ცნობის ფურცელსა“ „თეატრსა და ცხოვრებასა“, „მნათობსა“ და „ბათომის გაზეთში“. ჯერ ირანში ყოფნის დროს, ხოლო განსაკუთრებით სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის ინტენსიურად მუშაობდა ირანელი კლასიკოსების თარგმნაზე. მისი თარგმნებიდან უკვე დაბეჭდილია ომარ ხაიამის „რობაები“ („თეატრი და ცხოვრება“ 1924 წ. № 12), „სპარსული ლირიკა“ („ფედერაცია“ 1933 წ.) „ირანელი ლირიკოსები“ („ფედერაცია“ 1936 წ.), „მოლა ნასრედინის ანეგდოტები“ („ულმერთოთთა კავშირი“ 1940 წ.), დასაბეჭდათ გამზადებულია ნიზამი განჯელის „ლეილა და მეჯნუნი“ და „ხოსროვ და შირინი“ და საადის „გულისტანი“ და „ბუსტანი“. ამას გარდა ამბაკო ჭელიძეს რამდენიმე გამოუქვეყნებელი ორიგინალური ნაწარმოები დარჩა.

ეს იყო ბევრად უფრო ნათელი გონების და თბილი გულის ადამიანი, ვიდრე კაცს შეიძლებოდა პირველი შეხედვით ჩვენებოდა. თბილისის ქუჩებში ის ოდნავ თავდახრილი დადიოდა, მაგრამ საკმაო იყო კაცს მასთან ორიოდე საათი გაეტარებინა წყნარ საუბარში, რათა ეგრძნო დიდი შინაგანი კულტურა, რომელიც ქართველმა მდაბიო ხალხმა ღღევანდელ დღემდე მოიტანა ჭარიშხლიანი ისტორიული წარსულიდან.

ბერნტი ჟიჟოძე

გალინა რომანოვნა

პ. სიმონოვი

მაღალი, ტანადი, ლამაზი, თეთრხალათიანი ქალი ლეიტენანტ მარტინენკოს წინ იდგა და იღიმებოდა. ლეიტენანტი მხურვალედ ართმევდა ხელს და ეუბნებოდა:

— გმადლობთ, ისე გმადლობთ, რომ გამოთქმაც არ შეგიძლიან. თქვენ გადამარჩინეთ!.. არასოდეს არ დაგივიწყებთ, — და ლეიტენანტმა, ოდნავ შეცბუნებულმა, მაგრა აკოცა ქალს. — მაპატიეთ, საწყენად ნუ მიიღებთ: ეს ყველას მაგიერ! — დარცხვენილმა დაამთავრა ლაპარაკი და შტაბისაკენ გაემართა.

— ნახე? — მკითხა შენაერთის კომისარმა. — ყველას უყვარს გალინა რომანოვნა. ო�rო, ნამდვილი ოქრო, თანაც შესანიშნავი მკურნალია.

ჰოსპიტლისაკენ მიედიოდით, უბის ლამაზი ნაპირით. კომისარი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, გვიამბობდა ქირურგზე — გალინა რომანოვნაზე, ლეიტენანტ-გამანადგურებელ მარტინენკოზე, იმ მებრძოლებზე და მეთაურებზე, რომელნიც სიკვდილსა და ინვალიდობას გადაარჩინა ახალგაზრდა მკურნალმა.

მარტინენკო დაიჭრა საჰაერო ბრძოლაში — რამდენიმე ტყვიამ ხელი გაუხვრიტა. თითქოს ერთად-ერთი გამოსავალიღა იყო: ხელი უნდა მოეკვეთათ. ამ აზრისა იყო ბევრი ექიმი. მაშინ გალინა რომანოვნამ ითხოვა — ნება მიეცათ მოეხდინა ოპერაცია. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მარტინენკო დღეს დაბრუნდა ნაწილში — დაუბრუნდა თავის გამანადგურებელს.

ჰოსპიტალში გალინა რომანოვნა დაგვიხვედა. მისი შავი თვალები ალარსიანად, ოდნავ შეშფოთებული შემოგვყურებდნენ — ეტყობოდა რაღაც აწუხებდა.

— სძინავს? — ჰკითხა კომისარმა წყნარად.

— სძინავს, — მიუგო გალინა რომანოვნამ.

— როგორ არის დღეს?

— უკეთ, მაჯა საშუალოდ უცემს.

— თქვენ როგორღა გრძნობთ თავს?

— კარგად. დაჭრილები რჩებიან, ბრძოლას უბრუნდებიან.

— როდის შეიძლება გამოველაპარაკოთ ნიკოლაის?

— ვფიქრობ, ოთხიოდე დღის შემდეგ...

— დიდხანს მოგვიხდება ცდა... მაგრამ რას იზამ: თქვენა ხართ აქ უფროსი! — სთქვა კომისარმა და ჰოსპიტლიდან გამოვედით.

იქვე, ჩვენ წინ, ზღვა შეფოთავდა. ტალღები კლდეებს ეხეთქებოდნენ და, თაუძლურებულნი, უკან ბრუნდებოდნენ.

ჩუმად მივდიოდით. ველოდი, როდის ჩამოაგდებდა კომისარი ლაპარაკს ნიკოლაი ანდრეევზე, ნაწილის შტურმანზე, რომლის შესახებაც იგი ექიმს შეეკითხა. და კომისარმა გვიამბო:

— ჩვენი ბომბდამშენნი მოსვენებას არ აძლევდნენ ფაშისტებს: ბომბებით უმასპინძლდებოდნენ ტრანსპორტებს, რომელნიც ჯარით და იარაღით საბჭოთა ნაპირებისაკენ მოემართებოდნენ. ძალზე ბნელოდა. შავი, ხშირი ღრუბლებისაგან ცა აღარ მოსჩანდა. მაგრამ შტურმანმა ანდრეევმა გზა მაინც გაიკვლია და თვითმფრინავები დანიშნულ ადგილას მიიყვანა. თენდებოდა. ღრუბლები თვითმფრინავებმა გაარღვიეს ასი მეტრის მანძილზე ტრანსპორტებიდან და ერთბაშად საზენიტო ბატარეებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლში მოჰყვნენ. მაგრამ რა ამბავი მოხდა, რომ იცოდეთ, რა ამბავი! — წამოიძახა აღფრთოვანებით კომისარმა. — ნამდვილი ილუმინაცია იყო. ირგვლივ ყუმბარები სკდებოდნენ, ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდათ.

— შეტევაში ანდრეევი მიუძღოდათ?

— ჰო. ზორბად დააყარეს ბომბები. მფრინავი მოუთმენლად ელის, როდის დაუშვნს შტურმანი ტრანსპორტს ბომბებს. დანარჩენ თვითმფრინავებზედაც ელიან, როდის დაიწყებს დაბომბებას ანდრეევი. მაგრამ მან ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთ დაცული ტრანსპორტი აარჩია და უთხრა პილოტს: „ოც წამს გაჩერე მანქანა იდეალურად სწორე ხაზზე!“ და გამარჯვებას მიაღწიეს: საზენიტო ბატარეებმა სროლა შეწყვიტეს. ტრანსპორტი აფეთქდა და ჰაერში გაიფანტა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

კომისარი გაჩუმდა. სდუმდა გალინა რომანოვნაც. ყურეს ნიავმა გადაუქროლა და დაწყნარებული წყალი ოდნავ შეიშმუშნა.

— მაგრამ უკან დახევისას საზენიტო ცეცხლში მოჰყვნენ. მაშინ დაიჭრა ძმობილი ნიკოლაი.

— საშიში იყო არა ჭრილობა, არამედ ის, რომ მან ბევრი სისხლი დაჰკარგა, — ჩაურთო გალინა რომანოვნამ.

— დიაღ. დიდძალი სისხლი დაჰკარგა. დილა ადრიან მოხდა ეს ამბავი. სტაციონარული ჰოსპიტალი შორს იყო, და გადასწყდა — სისხლის გადასხმა მოეხდინათ ადგილობრივ, საკუთარ ჰოსპიტალში, — სთქვა კომისარმა.

გულს ახარებდა, რომ კომისარი ასეთის სინაზით, ასეთის სიყვარულით ლაპარაკობდა შესანიშნავ ახალგაზრდა შტურმანზე. მე ვიცნობდი უფროს ლეიტენანტს ნიკოლაი ანდრეევს, ვიცნობდი რამდენსამე წელიწადს, რადგან ერთად გავათავეთ სამტურმანო კლასები. იგი მედგარი, შრომის მოყვარე და თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე შტურმანი იყო.

მკაცრი, ვაჟკაცური სინაზე, რომელიც მებრძოლი კომისრის სიტყვებში გამოსჭვიოდა, მეთაურის საუკეთესო ქებას წარმოადგენდა.

გასაგები ხდებოდა, რატომ ეპყრობოდნენ ასეთი სიყვარულით გალინა რომანოვნას განკურნების გზაზე დამდგარი წითელარმიელები და მეთაურები. რამდენი სძალკვდილოდ განწირული კაცი დაუბრუნა მან მშობლიურ საბჭოთა ქვეყანას! ამიტომ გამედა მარტინენკომ, ვაჟკაცმა ჰაერში და მორიდებულმა მიწაზე, გადაედგა „გმირული“ ნაბიჯი და ეკოცნა შესანიშნავ ექიმისათვის.

— ოპერაცია ძნელი იყო? — ვკითხე მე.

ამ მოულოდნელმა კითხვამ გალინა რომანოვნა შეაკრთოლა. მაგრამ სწრაფად მომიგო:

— დიაღ, ძალიან ძნელი...

— უფრო იმიტომ, რომ საჭირო გახდა ისეთი სისხლის გამოძებნა, როგორიც დაჭრილს ჰქონდა. ბევრი მათგანი, ვისაც ასეთი სისხლი ჰქონდა, იქ არ იყო. მაშინ გადასწყვიტა ჩვენმა ექიმმა , მიემართა გაბედული ოპერაციისათვის...

და კომისარმა, მებრძოლმა და მკაცრმა კომისარმა, გვიამბო ყველაფერი უშიშარ ექიმზე და მამაც საბჭოთა ქალზე — მან აიღო თურმე თავისი სისხლი და გადაუსხა მძიმედ დაჭრილ მეთაურს ანდრეევს.

— მაგრამ ეს ხომ საშიში იყო თქვენი ჯანმრთელობისათვის! ჩვენ ექიმებსაც უნდა გავუფრთხილდეთ.

—ჩემ ჯანმრთელობას არაფერი შიში არ მოელოდა. მე ხომ ექიმი ვარ, ვიცი, — ღიმილით მიუგო გალინა რომანოვნამ — შიში მე კი არა, მეთაურის სიცოცხლეს მოელოდა.

ამ დროს გალინა რომანოვნას სანიტარმა დაუძახა; გამოგვეთხოვა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა მწვანეში ჩაფლულ თეთრ სახლისაკენ. დიდხანს შევყურებდით მიმავალ გმირ ექიმს; და როდესაც მისი თეთრი ხალათი ხეებს მოეფარა, ეკითხე პოლკის კომისარს:

— რა გვარია გალინა რომანოვნა?

კომისარმა დაასახელა ქირურგის გვარი და არც კი დამიცადა, ხელახლა შევკითხებოდი, რადგან ეჭვი შემეპარა, იქნებ სწორედ ვერ გავიგონე მეთქი, რომ მომმართა:

— რა არის, გიკვირს?

— ძალიან, — მივუგე მე.

გასაკვირველი კი მართლაც იყო: კომისარმა დაასახელა ცნობილი საბჭოთა ექიმის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორისა და მედიცინის დოქტორის გვარი. გასაკვირველი არ იქნებოდა, ეს ცნობილი გვარი რომ დიდ ქალაქში ვამეგონა, აქ კი, მიყრუებულ ყურეში, ზღვის ნაპირას, დიდ ქალაქებს მოშორებული, იგი გაისმა როგორც სიმამაცისადმი მიძღვნილი სიმღერა.

— მოგვარეა? — ვკითხე მე მცირე ხნის შემდეგ:

— ღვიძლი ქალიშვილია, — მომიგო კომისარმა.

— პროფესორის?

— აკადემიკოსის.

მწარე მოგონებანი

მიმდინარე წლის მაისში ერომა ფაშისტურმა გამომცემლობამ ხელახლა გამოსცა ცნობილი გერმანელი გენერლის მაქს ოფმანის მემუარები „გამორჩენილ შესაძლებლობათა ომი“. ამ წიგნის ხელახალი გამოცემის გამო ფაშისტურმა ჟურნალმა „დი ნეიე ლიტერატურ“-მა მთელი განგაში ასტეხა. ჩვენი ადგომარეობა ისეთია, — სწერს ჰოფმანის წიგნის რეცენზენტი, — რომ ასეთ ვითარებაში ამ წიგნის გამოცემა ღიდი შეცდომაა. ავტორს ორიოდე სიტყვა წამოცდა იმაზე, თუ რატომ არის ჰოფმანის მემუარების გამოქვეყნება შეცდომა, ანა როგორ შეიძლება გერმანელ მკითხველს მივაწოდოთ ის ადგილები ჰოფმანის მემუარებიდან, სადაც იგი გესლიანად ლაცინის და ამცირავნებს გერმანული ჯარის სარდლობის უუნარობას საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ 1918 წ. დაწყებული ლაშქრობის საქმეში. ეს იწვევს მეტად მწარე უსიამოვნო მოგონებებს შორეულზე, დონის მაღაროელებზე, უკრაინელ გლეხთა პარტიზანულ რაზმებზე, რომლებიც თავზარს სცემდნენ და ამსხვრევდნენ კაიზერის „უძლეველ“ ჯარებს.—„დროა ბოლო მოეღოს ასეთ კრიტიკული სამხედრო ტრაქტატების გამოცემასო“,—დასკვნის დაგეშილი ფაშისტი კრიტიკოსი.

ფაშისტ მჯღაბნელს ამ მარტივი რეკეპტით სურს გაფანტოს გერმანელ მკითხველში მწარე მოგონებები გერმანელ იმპერიალისტების ინტერვენციის იმ სამარცხვინო მარცხის შესახებ, რომელიც მათ საბჭოთა უკრაინასა და რუსეთში განიცადეს.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლმოლნიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ფულუქიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЗ 41471